



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 192

2016 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ


„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარის პეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1099235; 19.09.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებული გამარჯვებული პროექტების ავტორ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა;

3. გამარჯვებული პროექტის ავტორმა დოქტორანტებმა არაუგვიანეს 2016 წლის 23 სექტემბრისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ აქტიური სტატის შესახებ ცნობა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



დანართი
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2016 წლის 20 სექტემბრის N192 ბრძანებით

**2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში
გამარჯვებული პროექტების**

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
1	PhDF2016_200	დმანისელი ადამიანის ქცევა, მისი საცხოვრებელი და სამოქმედო არეალები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	PhDF2016_239	ეროვნული იდენტობის კომუნიკაცია სამუზეუმო ექსპონატების მაგალითზე პოლიტიკურად გარდამავალ დროში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	PhDF2016_117	XVII საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის - გაეტანო რასპონის მიკროისტორია საკუთარისა და უცხო ადქმის კონტექსტში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	PhDF2016_19	მაქსველის სისტემისა და მისი ინტეგრო-დიფერენციალური ანალოგების გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	PhDF2016_130	რიეგრის ტიპის პერიოდულობა მზის აქტივობაში და დინამო მაგნიტური ველის შეფასება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
6	PhDF2016_147	მზის კორონალური წვიმა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
7	PhDF2016_15	რადონის რადიაციული გამოსხივების კვლევა ზოგიერთ ბუნებრივ ობიექტში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
8	PhDF2016_208	მტკვრის ნაოჭა-შეცოცებათა სარტყელის დასავლეთ ნაწილის ნეოტექტონიკური დეფორმაციის კვლევა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
9	PhDF2016_235	კვლევის ახალი მეთოდების განვითარება და გამოყენება თავის ტვინის ტრავმული დაზიანებებისას	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
10	PhDF2016_59	ზოგიერთი ფერომაგნიტური ნანოსითხის ტექნოლოგია და ფიზიკური თვისებები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
11	PhDF2016_92	სელენის ნანონაწილაკების სუსპენზიის შექმნა და მისი ეფექტურობა ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული სისხლძარღვოვანი გართულებების მკურნალობაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
12	PhDF2016_177	მზის აქტიურ რეგიონებში რხევითი პროცესების რიცხვითი მოდელირება დაკვირვებებით მონაცემებზე დაყრდნობით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
13	PhDF2016_204	კორონული ჯეტების ადპრის სიხშირის და მათი კორონულ ხვრელში გადანაწილების შესწავლა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
14	PhDF2016_210	აქსელერომეტრული და ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტამლების მიმდები ქსელის განვითარება საქართველოში: საფუძველი სეისმური საშიშროების დაზუსტების	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი